აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

31/07/2020 **ქ. ბათუმი**

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, 761 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნას №28, (ბათუმის მუნიციპალიტეტი), №29 (ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეული) და №30 (ხელვაჩაურის (მახინჯაურის ადმინისტრაციული ერთეულის გარდა) ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები) მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების საზღვრები და ნომრები შეესაბამება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ ოლქების საზღვრებსა და ნომრებს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი